

შპს „ჯი ბი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „ჯი ბი სი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 25.12.2006წ. ს/ნ 205 187 475

მაია ბიჭიაშვილი - პ/ნ 01015011240 – 50 % წილის მმართველი

გიორგი ცისკაძე - პ/ნ 01024086651– 50% წილის მმართველი

კომპანიის დირექტორი მაია ბიჭიაშვილი პ.ნ. 01015011240

კომპანიის იურიდიული მისამართი : ქ.თბილისი, პაატა ჯანიაშვილის ქ. N 8ა

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი : ქ.თბილისი, პაატა ჯანიაშვილის ქ. N 8ა

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 236 885 ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა /ბავშვის მოვლის და ჰიგიენის საშუალებებით/ და ასევე საცალო ვაჭრობა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს

კომპანიას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე კომპანიები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები დენომინირებულია მოცემული თერიდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლით კურსის შესაბამისად. აღნიშნული ოპერაციებიდან გამოწვეული ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელის გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების შესაბამისად.

2.6 მოგების გადასახადი:

- მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“.

- დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და განაცემებს.

2.7 2020 წლის 12 აგვისტოს კომპანიის დამფუძნებელმა მაია კახაბრიშვილმა პ.ნ

01017016994 , რომელიც იყო კომპანია „ჯი ბი სი“-ს 50 % წილის მმართველი , გაასხვისა მისი კუთვნილი წილი. აღნიშნული წილის შესყიდვა განახორციელა კომპანიის მეორე მოწილემ მაია ბიჭიაშვილმა პ.ნ. 01015011240 და 2020 წლის 12 აგვისტოს პერიოდისთვის კომპანიის 100 % წილის მფლობელი გახდა მაია ბიჭიაშვილი პ.ნ.

01015011240 . 2020 წლის 12 აგვისტოს კომპანიის დამფუძნებელმა და 100 % -იანი წილის მფლობელმა - მაია ბიჭიაშვილმა გაასხვისა საკუთარი წილის 50 % და აღნიშნული პერიოდიდან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის კომპანიის წილობრივი გადანაწილება გახდა შემდეგი:

- მაია ბიჭიაშვილი - პ/ნ 01015011240 – 50 % წილის მმართველი
- გიორგი ცისკაძე - პ/ნ 01024086651– 50% წილის მმართველი

რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერებით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

2.8 2020 წლის იანვარში და ნოემბერში მოხდა 2016 წლამდე დაგროვილი დივიდენდის განაწილება. განაწილებული დივიდენდის ოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 6 315,80 (ექვსი ათას სამას თხუთმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი. იგი განაწილდა კომპანიის დამფუძნებლებზე ტოლ წილად.

- მაია ბიჭიაშვილი - პ/ნ 01015011240 – 3 157.90 ლარი
- მაია კახაბრიშვილი - პ/ნ 01017016994 - 3 157.90 ლარი

განაწილებული დივიდენდის ოდენობამ ნოემბრის თვეში შეადგინა 136 842,11 (ასოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდაორი ლარი და 11 თეთრი) ლარი. იგი განაწილდა კომპანიის ერთ დამფუძნებელზე მაია ბიჭიაშვილზე, თანახმად 2020 წლის 12 აგვისტოს გიორგი ცისკაძესა და მაია ბიჭიაშვილს შორის გაფორმებული საწარმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.3 და 2,4 პუნქტებისა.

2.9 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

- 2.10 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- 2.11 ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.
- 2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით. (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით)
- 2.13 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
- 2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:
- რეალიზაცია ზირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით.
 - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება
- 2.15 სავაჭრო ვალდებულებები :
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს
 - კრედიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება
 - საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსით.
 - გადაანგარიშების შედეგად მიღებული საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება კომპანიის სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.
- 2.16 კომპანიას აქვს ბანკის სესხი, რომელზეც ერიცხება საპროცენტო გადასახადი. აღნიშნული გადასახადი აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტის შესაბამისად.
- 2.17 ვადაგადაცილებული დავალიანება კომპანიას არ ერიცხება.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს

მ.პ.ს „ჯი ბი სი „ დირექტორი
მაია ბიჭიაშვილი



ფორმა N 1- ფინანსური მდგომარეობა

აქტივები	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	266,761	171,351
სავაჭრო მოთხოვნები	2,133,032	1,775,425
გადახდილი ავანსები	-	-
მარაგები	874,080	1,182,955
მზა პროდუქცია	872,339	1,182,955
სხვა	1,741	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	15,281	10,364
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	4,766	1,700
ძირითადი საშუალებები	395,369	319,734
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	48,539	48,539
სულ აქტივები	3,737,828	3,510,068

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	872,516	657,900
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	63,130	3,000
საგადასახადო ვალდებულებები	1,760	-
გამომუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	563,537	661,836
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	1,500,943	1,322,736

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,236,685	2,187,132
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	2,236,885	2,187,332
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,737,828	3,510,068

დირექტორი:

მთავარი აკრედიტებული:

შპს ჯი ბი სი

ფორმა N 2- საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2020	2019
ნეტო ამონაგები	4,197,095	4,237,582
საქონლის გაყიდვიდან	4,197,095	4,236,242
მომსახურების გაწვიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	1,340
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,836,437)	(2,432,479)
საწყისი მარაგები	-	(1,265,274)
მარაგების შესყიდვა	-	(2,348,508)
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1,360,658	1,805,103
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(619,088)	(619,438)
ცვეთა და ამორტიზაცია	(29,125)	(36,938)
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	(44,223)	(17,081)
იჯარის ხარჯი	(176,923)	(352,047)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(397,175)	(371,348)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,266,534)	(1,396,852)
საოპერაციო მოგება	94,124	408,251

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	3,477	(103,052)
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	146,579	10,128
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(51,469)	(37,199)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	192,711	278,128
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	192,711	278,128

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	192,711	278,128
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,187,332	2,289,039
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(143,158)	(379,835)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,236,885	2,187,332

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

ფორმა N 3- ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	95,410	47,144
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	95,410	47,144
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	171,351	124,207
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	266,761	171,351

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი: